ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2500379

ნომერი: AR1387520

თარიღი : 17.03.2016

გაცემის თარიღი : 24.03.2016

გაცნობის თარიღი : 24.03.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ს. ჩიქოვანი , N 9/11 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ს. ჩიქოვანი , N 9/11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ ბლუაშვილი პ/ნ 01019012263
- ქ.თბიბილი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები კორექტირება
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ კორპუსის წინმდებარე ტერიტორიაზე, თვითმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, ტროტუარზე , სატრანსპორტო საშუალებათა ,(ავტომობილების) პარკირების შეზღუდვის მიზნით, ზღუდარების (ბოძკიტების და შლაგბაუმის მოწყობის უფლებას).

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ”ფ” ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, ”ე” ქვეპუნქტით სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა-ნაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე.

გამომდინარე იქიდან, რომ შლაგბაუმის მოწყობა ხორციელდება კორპუსისთვის მიკუთვნილ საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთში ქუჩიდან შესასვლელი გზის მონაკვეთში(სავარაუდოთ თვითმართველის ტერიტორიაზე) , იმის გავალისწინებით, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს #1429635 01.07. 2015 წლის წერილის თანახმად (იხილეთ დანართი), მრავალბინიანი შენობა–ნაგებობების ეზოებში (ამ შემთხვევაში მოიაზრება თქვენი სიტუაციაც) შლაგბაუმების მოწყობა საქართველოს მოქმედი „სახანძრო უსაფრთხოების წესების“ მოთხოვნების შესაბამისად ყოვლად დაუშვებელია, რაც დააბრკოლებს სახანძრო–სამაშველო ტექნიკის მანევრირებას (იხ დანართი). ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად სამსახურის უფლებამოსილებიდან და„სახანძრო უსაფრთხოების წესების“ გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა შლაგბაუმის მოწყობასთან დაკავშირებით მაგრამ, რაც შეეხება ტროტუარზე ზღუდარების (ბოძკიტების) მოწყობას მისი მოწყობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მესაკუთრესთან შეთანხმების შემდგომ , ანუ აღნიშნულისათვის საჭიროა სიტუაციური გენ გეგმა(დეტალური ზომების მითითებით) წარუდგინოთ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და მათი თანხმობის შემთხვევაში დააყენოთ მოთხოვნა სამსახურის წინაშე მხოლოდ ტროტუარზე ზღუდარების (ბოძკიტების) მოწყობის შესაძლებლობის თაობაზე და ნომენკლატურაში აირჩიოთ მხოლოდ I კლასი –დეკორატიული გაფორმების ობიექტები - რეკონსტრუქცია (კორექტირების გარეშე , ვინაიდან ამ საკითხთან დაკავშირებით არ გაცემულა რაიმე ნებართვა) .

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა და საკითხი ამ ეტაპზე დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.